მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

დაწესებულების შესახებ ინფორმაცია

დაწესებულება	ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა
საიდენტიფიკაციო კოდი	231284277
რეგიონი	კახეთი
რაიონი	თელავი
მისამართი	ქ. თელავი, ფალიაშვილის ქუჩა N28
საფოსტო ინდექსი	2200
დაწესებულების ვებ-გვერდი	www.alaverdischool.org.ge
დაწესებულების ელ-ფოსტა	telavi.school30@gmail.com
ტელეფონი/ფაქსი	350272057
დაწესებულების ხელმძღვანელი	

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

სახელი და გვარი	აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი
ტელეფონი	599208408 //საკონტაქტო პირი თეა 599154746
ელ-ფოსტა	-
დაწესებულებაში მოსწავლეებისა და პედაგოგების რაოდენობა	
პედაგოგი	31
სერტიფიცირებული პედაგოგი	უფროსი -13 , პრაქტიკოსი - 18
მოსწავლე/სსსმ მოსწავლე	122/ 0 (სსსმ მოსწავლე არ სწავლობს)
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
გადაწყვეტილების ნომერი	134 (25.11.2016 წ.)
მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	275 (ვიზიტის პერიოდში: 122)

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

დაწესებულება ახორციელებს

დაწყებით ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას	■
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას	■
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას	■
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას	□

ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

მონიტორინგის განხორციელების საფუძველი	„ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2019 წლის 15 მაისის N359-ე ბრძანება
მონიტორინგის ჯგუფის წევრები	ნინო ბალანჩივაძე (ჯგუფის ხელმძღვანელი) თეონა ყაჭეიშვილი (წევრი)
ვიზიტის განხორციელების პერიოდი	2019 წლის 22, 23 და 24 მაისი
დასკვნის მომზადების თარიღი	2019 წლის 18 ივნისი

ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

I. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

აღწერა	ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიზნები და ამოცანები საფეხურების მიხედვით, 2018-2019 სასწავლო წლის კალენდარი, გაკვეთილების მიმდინარეობის განრიგი, სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად, მათ შორის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით. სადამრიგებლო პროგრამა, საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული / გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებლი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა), ინკლუზიური განათლების კონცეფცია, შიდა სასკოლო მონიტორინგის პრინციპები, სასწავლო მონიტორინგი/ტესტირება, პედაგოგთა საათობრივი დატვირთვა; მისიაში განსაზღვრულია ის ძირითადი ღირებულებები, რომლებიც უნდა დამკვიდრდეს სკოლაში. „შექმნას სკოლაში უსაფრთხო, კომფორტული და კონკურენტული გარემო, სადაც ყველა მოსწავლეს ექნება

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

	თანაბარი წვდომის შესაძლებლობები აკადემიური ცოდნისა და უნარ-ჩვევების მისაღებად; სადაც წახალისებული იქნება მასწავლებელთა პროფესიულ განვითარება, სწავლა-სწავლების პროცესში თანამშრომლობა, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის როგორც ინფორმაციული ცოდნის მიწოდებას, ასევე, დამოუკიდებელი, კრიტიკულად და შემოქმედებითად მოაზროვნე პიროვნების ჩამოყალიბებას; შეუქმნას ახალგაზრდებს ყველა პირობა, რათა მომზადებულნი შეხვდენ ცხოვრების მოთხოვნებს, ჩამოყალიბდნენ კანონმორჩილ, მაღალი სამოქალაქო და სამართლებრივი თვითშეგნების ადამიანებად. შეუქმნას ახალგაზრდებს ყველა პირობა, რათა გააკეთონ შესაბამისი პროფესიული არჩევანი, იყვნენ წარმატებულნი, მოთხოვნადი და კონკურენტული ადამიანური რესურსი ქვეყნის შიდა თუ გარე შრომის ბაზარზე. **ჩვენი სტრატეგიაა განვუვითაროთ მოსწავლეებს:** • თანამედროვე სამყაროში ადაპტაციისთვის საჭირო უნარები; • დამოუკიდებელი ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნება; • არჩევანის გაკეთების, გადაწყვეტილების მიღებისა და მონაწილეობის უნარები. „ სკოლა ზოგადი განათლების მიხედვით, არის სამსაფეხურიანი: დაწყებითი (I-VI კლასები), საბაზო (VII-IX კლასები) და საშუალო (X-XII კლასები). **სკოლაში არის შვიდი საგნობრივი კათედრა:** • ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა; • მათემატიკისა და ისტ-ის კათედრა; • საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა; • საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა; • უცხოური ენების კათედრა; • ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა; • დაწყებითი საფეხურის კათედრა;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

	ეს კათედრები აერთიანებს საგნობრივი ჯგუფების ყველა მასწავლებელს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სასკოლო გეგმაში სკოლის საათობრივი ბადე წარმოადგენს ეროვნული სასწავლო გეგმიდან ამოღებულ ზოგად ნიმუშს. ის არ აზუსტებს სწავლების სამივე საფეხურზე ყველა საგნის სწავლების გაკვეთილების განრიგს დღეებისა და კლასების მიხედვით - საგნის მასწავლებლის ვინაობის მითითებით; სასკოლო გეგმას, ერთი შეხედვით, ერთიანი სახე ჰქონდა, თუმცა აღნიშნული გეგმის შემადგენელი ნაწილების უმეტესობა (ინკლუზიური განათლება, სადამრიგებლო პროგრამა, საათობრივი ბადე, კათედრების მუშაობა, შეფასების პრინციპები და ა.შ.) ამონარიდი იყო ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმიდან და სხვა არაფერი. უნდა აღინიშნოს, რომ **არის რიგი საკითხები, რომლებიც სკოლის მიერ უნდა ყოფილიყო განსაზღვრული სასკოლო საასწავლო გეგმით, მაგრამ სასკოლო სასწავლო გეგმაში უცვლელად არის გადმოტანილი ეროვნული სასწავლო გეგმიდან**. მაგალითად, დაწესებულების მიერ დამტკიცებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში **შემაჯამებელი დავალების კომპონენტში** (მე-45გვ) ვკითხულობთ: „სტანდარტის მოთხოვნათა დასაფარად აუცილებელია შემაჯამებელ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმის გამოყენება. საგნობრივი ჯგუფების სპეციფიკიდან გამომდინარე, შემაჯამებელ დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს: ტესტი, თხზულება, პროექტი/პრეზენტაცია, მოხსენება-რეფერატი, დისკუსია და სხვა“, (შემაჯამებელი დავალებების დათვალიერებითა და ინტერვიურებით დადგინდა, რომ სკოლაში შემაჯამებელი დავალებები ტარდება ძირითადად ტესტური ფორმის გამოყენებით, ქართულში ესე და თზულება). **როცა შეიძლებოდა, რომ სკოლას თავად განესაზღვრა შემაჯამებელ დავალებათა მხოლოდ ის ტიპები, რომლებსაც იყენებდნენ. ასევე,** მაგ.: სასკოლო სასწავლო გეგმის მე-10 თავში ვკითხულობთ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, 2018-2019 სასწავლო წელს სკოლაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები: ❖**სემესტრული გამოცდა;** ❖**წლიური (სასწავლო წლის დამამთავრებელი) გამოცდა;** ❖**საშემოდგომო გამოცდა;** ❖**ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა.** ❖**სკოლის გამოსაშვები გამოცდა.**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

	თუმცა საერთოდ ტარდება თუ არა გამოცდები სკოლაში სასკოლო სასწავლო გეგმით არ არის განსაღვრული და ა.შ. აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად სკოლის ადმინისტრაციამ გამოსცა ბრძანება სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილებების განსახორციელებლად **(დანართი N1 სასკოლო სასწავლო გეგმაბ და რძანება N2-11 სკოლის დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანის შესახებ).** დაწესებულების ადმინისტრაციამ წარმოადგინა 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც, სკოლაში მიმდინარეობს 12-წლიანი ზოგადსაგანმანათლებლო სწავლება, **თუმცა მიმდინარე სასწავლო წელს სასწავლო პროცესი ხორციელდება მხოლოდ დაწყებით და საბაზო საფეხურზე.** ადმინისტრაციის განმარტებით, 2017-2018 სასწავლო წლის შიდა მონიტორინგის საფუძველზე გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით სკოლის ადმინისტრაციამ მოიწვია მშობელთა კრება, როდესაც მშობლებს განემარტათ 2018-2019 სასწავლო წლის მოთხოვნების შესახებ, რომელიც ეხებოდა XII კლასის მოსწავლეთა გაკვეთილების გაცდენის ზუსტ აღრიცხვას, ექსტერნატის ფორმით სასწავლო პროგრამის დაძლევის საჭიროებებს. ყოველივე ამან გამოიწვია უკმაყოფილება, რადგან რეპეტიტორებთან სიარულს სასწავლო პროცესის დროს მოსწავლეები ვერ შეძლებდნენ. რაც შეეხება X- XI კლასის მოსწავლეებს: X კლასის მოსწავლეთა ნაწილმა სწავლა გააგრძელა პროფესიულ კოლეჯში ვეტარინარიისა და კულინარიის განხრით, დარჩენილთა დისციპლინური პრობლემები და მავნე ჩვევები (თამბაქოს მოხმარებისა და სხვა სახით) კი დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეთათვის რისკებს ქმნიდა.. ამიტომ სკოლის ადმინისტრაციის პრინციპულმა დამოკიდებულებას მშობელთა ნაწილის ე.წ. პროტესტი მოჰყვა და სხვა სკოლებში გადაიყვანეს როგორც X-XI - XII კლასის მოსწავლეები, ისე მათი დედმამიშვილები, რომლებიც სხვადასხვა კლასში სწავლობდნენ. აქედან გამომდინარე, მოსწავლეთა რაოდენობა შემცირადა თითქმის 45 პროცენტამდე, რაც სკოლისათვის დასაფიქრებელია (ვიზიტის პერიოდში სკოლაში მხოლოდ დაწყებითი და საბაზო სკოლის მოსწაველთა რაოდენობა იყო 122) **(N2 დანართი სკოლის ადმინისტრაციის ახსნა-განმარტებითი ბარათი).**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

	ისიც უდნა აღინიშნოს, რომ, ვინაიდან მესამე საფეხურზე სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობდა, ამ საფეხურისათვის სასწავლო პროცესი სასკოლო სასწავლო გეგმით არ იყო განსაზღვრული. მათ აღნიშნეს, რომ მესამე საფეხურისათვის სასასწავლო პროცესის აღდგენა იგეგმება 2019-2020 წლისათვის, რადგან ახალი სასწავლო წლიდან აუცილებლად ეყოლებათ X კლასის მოსწავლეები. ინტერვიურებით დადგინდა, რომ ისტ-ის გაკვეთილები მხოლოდ თეორიულ ხასიათს ატარებს, ხოლო პრაქტიკულ ცოდნას, მოსწავლეთა უდიდესი ნაწილი, სახლში დამოუკიდებლად იძენს (პრეზენტაციის მომზადების ან ინტერნეტში ინფორმაციის მოკვლევის მიზნით). უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეებიც და ისტ-ს მასწავლებელიც ადასტურებენ, რომ გაკვეთილები მიმდინარეობს ჩვეულებრივ კლასებში საინფორმაციო ტექნიკის გამოყენების გარეშე.
დადასტურება/ დანართი	• ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზ/ს სკოლის 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით; • **დანართი N1 ბრძანება N2-11 სკოლის დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანის შესახებ);** • **დანართი N2 სკოლის ადმინისტრაციის ახსნა-განმარტებითი ბარათი (2 ფურცლად);** • ინტერვიურებით.
შეფასება	**დარღვეულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-3 მუხლის „ა“ პუნქტი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები

აღწერა	ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი, საბაზო და უმაღლესი სასკოლო განათლების სასწავლო და სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამები, თუმცა რეალურად მიმდინარე სასწავლო წელს სასწავლო პროცესი ხორციელდება დაწყებით და საბაზო საფეხურზე, მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ზოგადი განათლების მიხედვით სამსაფეხურიანია: დაწყებითი (I-VI კლასები), საბაზო (VII-IX კლასები) და საშუალო (X-XII კლასები). ***დაწყებითი საფეხურის ძირითადი ამოცანებია:*** ა) შეუქმნას მოსწავლეს პირობები საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად და სწავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად; ბ) ჩამოუყალიბოს მოსწავლეს სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება და სამყაროს შემეცნების მიმართ ინტერესი; გ) შეუქმნას მოსწავლეს პირობები და ჩამოუყალიბოს საფუძვლები შემდგომ, საბაზო საფეხურზე სწავლის წარმატებით გასაგრძელებლად; იმ ცოდნის დასაუფლებლად, უნარ-ჩვევების გასავითარებლად და დამოკიდებულებების ჩამოსაყალიბებლად, რომლებიც მას მომავალში დასჭირდება. ***საბაზო საფეხურის ძირითადი ამოცანებია:*** ა) დაეხმაროს მოსწავლეს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

	ბ) შეუქმნას მოსწავლეს პირობები იმ უნარ-ჩვევების გასავითარებლად, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთელი ცხოვრების განმავლობაში; გ) შეუქმნას მოსწავლეს წინაპირობა სწავლისგასაგრძელებლად, ან შრომით ბაზარზე სწორი არჩევანის გასაკეთებლად. ***საშუალო საფეხურის ძირითადი ამოცანებია:*** ა) შეუქმნას მოსწავლეს პირობები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლების მისაღებად; ბ) დაეხმაროს მოსწავლეს მომავალი არჩევანის გასაკეთებლად (სწავლის გასაგრძელებლად და/ან შრომით საქმიანობაში ჩასაბმელად); გ) მისცეს მოსწავლეს ხარისხიანი სრული ზოგადი განათლება. **სასოლო სასწავლო გეგმაში განსაღვრული სადამრიგებლო პროგრამა,** რომელშიც გაწერილია სადამრიგებლო პროგრამის ზოგადი კონცეფცია, სამივე საფეხურის მოთხოვნებთან ერთად მოზარდთა ინტელექტუალური თუ ფიზიკური აღზრდისათვის აუცილებელი ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნას უწყობს ხელს. **საადამრიგებლო საუბრები მოქცეულია შემდეგ ხუთ მიმართულებაში:** 1. ზნეობრივი აღზრდა 2. უსაფრთხოება და ეროვნულ-პატრიოტული ცნობიერება 3. პიროვნული და მორალური განვითარება 4. გარემოსდაცვითი კულტურა და ცხოვრების ჯანსაღი წესი 5. თვალსაწიერის გაფართოება - ხელოვნების, ლიტერატურის, ტექნოლოგიური და სამეცნიერო მიღწევების მნიშვნელობა. **სასწავლო კვირა ხუთდღიანია.** საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია 6 დღიანი სწავლებაც. კერძოდ, თუ: ა) სკოლა გადაწყვეტს ყოველდღიური საათობრივი ბადის განტვირთვას; ბ) გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო სკოლაში გაცდება სასწავლო დღე/დღეები; გ) ობიექტური მიზეზების გამო სკოლა მიზანშეწონილად მიიჩნევს კვირის რომელიმე დღე განსაზღვროს დასვენების დღედ. **გაკვეთილის ხანგძლივობაა** 45 წუთი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

	4. პირველი კლასის გაკვეთილის ხანგრძლივობა 35 წუთია, II-XIIკლასების გაკვეთილის ხანგრძლივობა - 45 წუთი. გაკვეთილებს შორის შესვენება 5 -10-15 წუთი. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავო გეგმით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ მომსახურებას: **საღვთო სჯული ისწავლება I – VI კლასის ჩათვლით** **საგნის მიზანია** სულიერად გაწონასწორებული, ჰარმონიულად, ინტელექტუალურად და ფიზიკურად განვითარებული მოქალაქის აღზრდა, რომელსაც შესწევს არჩევანის გაკეთების უნარი, აქვს პოზიცია, ფლობს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევებს. **გამაძლიერებელი წრე განსაზღრულია სხვადასხვა საგანში :** ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა,, ინგლისური ენა, რუსული ენა, საბუნებისმეტყველო საგნები, საზოგადოებრივი მეცნიერებები(სწავლების კლასები - I – XII კლ.) კვირეული საათობრივი დატვირთვა - 2 ასტრონომიული საათი **მუშაობის მიზნები** - ჩაუტარდეს მოსწავლეს დამატებითი მეცადინეობა იმ საგანში, რომელშიც აქვს მას ჩამორჩენა ანდა სჭირდება პროგრამულ საკითხებში გაძლიერება სატურე სამუშაოსათვის მზადების მიზნით; **ქართული ხალხური სიმღერისა და გალობის სტუდია:** კვირეული საათობრივი დატვირთვაა - I – XII კლასებში 6 სთ **დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს სკოლა სთავაზობს - ლეგოს საგანმანათლებლო** პროგრამას, რომელიც **ხორციელდება განათლებისა და კვლევის საერთაშორისო ორგანიზაციისა და სკოლის მემორანდუმის ფარგლებში** •სტატუსი: დამატებითი არასავალდებულო (წრეობრივი-უფასო) •სწავლების კლასები - I – VI კლ. •ინსტრუქტორი მასწავლებელი - თამარ ზურაბიშვილი **სკოლაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული სწავლების სწრე (I – I Vკლ.),** გახანგრძლივებული მუშაობს ძირითადი საგაკვეთილო პერიოდის დამთავრების შემდეგ. სამიზნე ჯგუფები არიან - ნებისმიერი კლასის მოსწავლეები, რომელთაც სურთ გაკვეთილების შემდეგ სკოლაში მოამზადონ საშინაო დავალებად მიცემული მასალა.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

	•გახანგრძლივებული სწავლების ჯგუფში მუშაობენ სხვადასხვა საგნის მასწავლებლები, რომლებიც ამეცადინებენ მოსწავლეებს შესაბამის საგანში, ეს საგნებია ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ინგლისური ენა, რუსული ენა, ბუნებისმცოდნეობა, „ლეგო“ ”STEM”-ის საფუძვლები; გახანგრძლივებული სწავლების ჯგუფის მუშაობის მიზანია გაეწიოს დახმარება მოსწავლეს საშინაო დავალების მომზადებაში, ჩამოუყალიბდეს დავალების მომზადების ეფექტური უნარ-ჩვევები და გაეწიოს მას მეთვალყურეობა 16:00 სთ-მდე; გარდა ამისა, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი საათობრივი ბადით ვერ დგინდებოდა სპორტის სამი სახეობის სწავლება.**ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით (თავი LIII სპორტის საგნობრივი პროგრამა) კი სწავლების ორგანიზებაში ცალსახად არის აღნიშნული, რომ „საბაზო-საშუალო საფეხურზე სპორტის სახეობების ჩამონათვალიდან სკოლა ირჩევს მინიმუმ სამს (3)...“** მართალია, სასკოლო სასწავლო გეგმით არ არის განსაზღვრული სკოლის მიერ შერჩეული სპორტის სახეობები, მაგრამ დირექციათან გასაუბრებით ირკვევა, რომ მათ შერჩეული აქვთ ფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი. მათივე განმარტებით უბრალოდ გამორჩათ, რომ ჩაეწერათ. მოსწავლეებთან ინტერვიურებით კი ირკვევა, რომ სპორტის გაკვეთილებზე მათ ხან კალათბურთი (ერთი კალათბურთის ფარია ეზოში), ხან მაგიდის ჩოგბურთი (ერთი ჩოგბურთის მაგიდა დგას სკოლის შენობის პირველ სართულზე არსებულ ღია სივრცეში), ხან ჭადრაკი უტარდებათ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, V-VI კლასებში ისტ-ის გაკვეთილები მხოლოდ თეორიულ ხასიათს ატარებს, ხოლო პრაქტიკულ ცოდნას, მოსწავლეთა უდიდესი ნაწილი, სახლში დამოუკიდებლად ავლენს (პრეზენტაციის მომზადების ან ინტერნეტში ინფორმაციის მოძიების მიზნით). ინტერვიურებით მოსწავლეები ღიად საუბრობენ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში არგამოყენების შესახებ. ისტ-ს მასწავლებელმაც დაადასტურა, რომ გაკვეთილები მიმდინარეობს ჩვეულებრივ კლასებში საინფორმაციო ტექნიკის გამოყენების გარეშე. რაც არ პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

	სკოლის ადმინისტრაციამ სასკოლო სასწავლო გეგმის ანალიზისა და სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაციის მოწესრიგების მიზნით შექმნა კომისია (დანართი N3 ბრძანებაN2-12 სასკოლო დოკუმენტაციის ანალიზისა და განაახლების კომისიის შექმნის შესახებ), რომელიც მონიტორინგის ჯგუფის მიერ გამოვლენილი ხარვეზების საფუძველზე ახალი სასწავლო წლიდან შეიმუშავებს სტრატეგიებს, არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.
დადასტურება/ დანართი	1. სასკოლო სასწავლო გეგმით; 2. ვიზუალური დათვალიერებით; 3. ინტერვიურებით; 4. **დანართით N3 ბრძანება N2-12 სასკოლო დოკუმენტაციის ანალიზისა და განაახლების კომისიის შექმნის შესაებ**
შეფასება	**დარღვეულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტი.

1.3 **სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის**

აღწერა	ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების კონცეფცია, რომელიც მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

	ექსპერტთა ვიზიტის პერიოდისთვის სკოლას არა ჰყავდა სსსმ მოსწავლე, ამიტომ დაწესებულებამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების შესახებ ამონარიდი ეროვნული სასწავლო გეგმიდან: მაგალითად, დაწესებულების მიერ დამტკიცებულ სასკოლო სასწავლოგეგმაში (**თავიXI. ინკლუზიური განათლება** 57 – 60გვ.) ვკითხულობთ: • ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ინფორმაციას ბავშვის ინტერესების, ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ აკადემიური, შემეცნებითი, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების მიხედვით. • სწავლის პროცესში სირთულეების გამოვლენის შემდეგ სკოლამ უნდა უზრუნველყოს მოსწავლის შესაძლებლობების შეფასება. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის დეტალური შეფასებისთვის და მის განათლებასთან დაკავშირებული რეკომენდაციებისთვის სკოლას შეუძლია მიმართოს სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდს (შემდგომში – მულტიდისციპლინური გუნდი). • თითოეული სსსმ მოსწავლისათვის სკოლამ უნდა განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფი (შემდგომში – ისგ ჯგუფი), რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. ისგ-ს ჯგუფი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ისგ-ს შიდა მონიტორინგში და მასალა წარუდგინოს სკოლის დირექტორს. როცა შეიძლებოდა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულიყო, როგორც კოორდინატორი და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფი, ისე ინდივიდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მექანიზმები, რაც გაითვალისწინებდა სასწავლო პროცესთან დაკავშირებით სკოლის წინაშე არსებული ამოცანების შესრულებას: მაგ.: როგორ დაკომპლექტდებოდა და იმოქმედებდა სამუშაო ჯგუფი საჭიროების შემთხვევაში. რა ვადებში მოხდებოდა მოსწავლის საჭიროებების შეფასება და მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის შედგენა. ამასთანავე, ყურადღება გამახვილდებოდა საჭიროების შემთხვევაში მოსწავლის შინ სწავლების მექანიზმებზეც და (მასწავლებლის ვიზიტზე ოჯახში) მასწავლებლის დატვირთვაზეც სსსმ მოსწავლის სახლში სწავლების შემთხვევაში.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

	მართალია, ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, მაგრამ ინტერვიუებით, გაირკვა, რომ სკოლის საზოგადოებას აქვს მზაობა (ერთი სველი წერტილი და რესურსოთახი) ამგვარი მოსწავლის არსებობის შემთხვევაში, გაუწიოს მას სათანადო საგანმანათლებლო მომსახურება.
დადასტურება/დანართი	1. სასკოლო სასწავლო გეგმის თავი „ინკლუზიური განათლების კონცეფციით“; 2. ინტერვიურებით; 3. ვიზუალური დათვალიერებით
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-3 მუხლის „გ“ პუნქტი.

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

აღწერა	ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მასწავლებლები აფასებენ მოსწავლეების მიერ სტანდარტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია ეროვნული სასაწავლო გეგმის შესაბამისად განსაზღრული შეფასების სისტემა, განმარტებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მნიშვნელობა, აკადემიური მიღწევის დონეები. კლასისა და საფეხურის დაძლევის ზღვრები. უნდა აღინიშნოს, რომ **არის რიგი საკითხები, რომლებიც სკოლის მიერ უნდა ყოფილიყო განსაზღვრული სასკოლო საასწავლო გეგმით, მაგრამ სასკოლო სასწავლო გეგმაში უცვლელად არის გადმოტანილი ეროვნული გეგმიდან**. მაგალითად გამოცდების ტიპები, შემაჯამებელი დავალებები,

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი



	რომელთა წაკითხვითაც რთულია დაადგინო ტარდება თუ არა სკოლაში წლიური გამოცდები ან შემაჯამებელი დავალების რომელ ფორმებს იენებს საგანმანათლებლო დაწესებულება მაგ.; **სასკოლო სასწავლო გეგმაში უცვლელად არის გადმოტანილი ეროვნული გეგმიდან.გამოცდის ტიპები**. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, „ 2018-2019 სასწავლო წელს სკოლაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები: ➢ **სემესტრული გამოცდა;** ➢ **წლიური (სასწავლო წლის დამამთავრებელი) გამოცდა;** ➢ **საშემოდგომო გამოცდა;** ➢ **ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა.** ➢ **სკოლის გამოსაშვები გამოცდა** წლიური გამოცდა შეიძლება დაინიშნოს, მხოლოდ საბაზო და/ან საშუალო საფეხურზე. თუ სკოლას სურს საგნის წლიური გამოცდის დანიშვნა, მან სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა განსაზღვროს, რომელ კლასში/კლასებში და რომელ საგანში/საგნებში ჩაატარებს ამ გამოცდას და ექნება თუ არა ამ გამოცდაზე მიღებულ ქულას გავლენა საგნის წლიურ ქულაზე და ა.შ.“ ეს და სხვა ტიპის ჩანააწრები უცვლელად არის სასკოლო სასწავლო გეგმაში გადმოტანილი, ამიტომ ამ ჩანააწერებით რთულია დადგინდეს ატარებს თუ არა სკოლა რაიმე ტიპის გამოცებს. მხოლოდ ინტერვიურებით დადგინდა, რომ 2018-2019 სასწავლო წელს სკოლაში წლიური გამოცდები არ ტარება. რაც შეეება შემაჯამებელ დავალებებს, შერჩევითი წესით შემაჯამებელი დავალებების დათვალიერებისას ექსპერტებმა მასწავლებლებთან ერთად განვიხილეთ რამდენიმე პედაგოგის სხვადასხვა კლასის შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა შემდეგი თავისებურებები: ➢ **მართალია, შემაჯამებელი დავალებები ძირითადად ერთი ტიპისაა, მაგრამ ტესტური** დავალებების პარალელურად გამოიყენება **ქართულში დაწყებითი კლასებისა და ჰუმანიტარული მეცნიერების კათედრაზე -ესე, თემა, წაკითხულის გააზრება, ტექსტის რედაქტირება;** ➢ შერჩევითი წესით შემაჯამებელი დავალებების დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ შემაჯამებელ დავალებაში მითითებული ინდიკატორების ამოქმედება აღნიშნული დავალების

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

	შესრულებით შეუძლებელი იყო, ამიტომ ერთობლივად განვიხილეთ როგორც ტესტი და შესრულებული დავალება, ისე საგნობრივი სტანდარტები და ინდიკატორები. ➢ მასწავლებლის მიერ შემუშავებული **ანალიზები ზოგადია, ხშირ შემთხვევაში, ვერ იძლევა პრობლემების იდენტიფიცირებისა და მისი გადაჭრის საშუალებას.** ➢ ჟურნალებისა და შემაჯამებელი დავალებების დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ მე-9 კლასის შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა არ იყო შესრულებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღრული. ასევე იმავე კლასში მეორე სემესტრში შემაჯამებელი დავალებები ერთ-ერთ საგანში (მუსიკა) საერთოდა არ ჩატარებულა; ➢ შემაჯამებელი დავალებების ანალიზი ერთიანი ფორმით არის გაკეთებული; საბოლოოდ, **სკოლის ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია,** კათედრებს ყურადღება გაემახვილებინათ ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორების ამოქმედების მექანიზმებსა და შემაჯამებელი დავალებების განსაზღვრაში. ➢ ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევისათვის თითოეულ საგანში სავალდებულოა შემაჯამებელი დავალებები იყოს სავალდებულო და მრავალფეროვანი; ➢ შემაჯამებელი დავალება შინაარსითა და სტრუქტურით იძლეოდეს შედეგის მიღწევის საშუალებას **(ესგ. მუხლი 18);** ➢ სასურველია, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი ასახავდეს მოსწავლის მიღეწევებსა და მათ საჭიროებებს. ➢ მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოკითხვით დასტურდება, რომ საბუნებისმეტყველო საგნებს სწავლებისას იშვიათია სხვადასხვა მიზნობრივი ლაბორატორიული ცდების ჩატარების პრაქტიკა. მოსწავლეები ვერ ასახელებენ საბუნებისმეტყველო საგნებში სხვადასხვა კვლევით პროექტს ან აქტივობას. საბაზო საფეხურის მოსწავლემ მოიყვანა ერთადერთი მაგალითი ე.წ. „ლაბორატორიული ცდის“ ჩატარებისა, მაგრამ ვერც მიზანი, ვერც შედეგი და ვერც აქტივობის მსვლელობა ვერ აღწერა/დაასახელა;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

	სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ გაითვალისწინებს განსაზღვრულ რეკომენდაციებს და ახალი სასწავლო წლიდან გამოიყენებს შემაჯამებელი დავალებების მრავალფეროვან სტანდარტის შესაბამის ფორმებს.
დადასტურება/დანართი	• შემაჯამებელი დავალებებითა და მათი ანალიზის ფორმებთ; • სასკოლო სასწავლო გეგმით; • ინტერვიურებით
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-3 მუხლის „დ“ პუნქტი.

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

აღწერა	დაწესებულებაში მართალია, არ არის განსაზღვრული მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების, სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობისა და მშობელთან ურთიერთობის წესი, თუმცა ინტერვიურებითა და კლასის დამრიგებლის მოვალეობების გაცნობით ირკვევა, რომ მშობლისათვის საჭირო ინფორმაცია ხელმისაწვდომია სოციალური ქსელით www.facebook.com (დახურული ჯგუფები, ინდივიდუალური მიმოწერები) , მშობელთა გეგმიური ან დაუგეგმავი კრებებისა და სკოლის შენობაში სპეციალურ თვალსაჩინო ადგილზე სხვადასხვა განცხადების გამოქვეყნებით.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

	მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობა გამოიხატება გაკვეთილებზე დასწრებით, პედაგოგებთან ინდივიდუალური შეხვედრებით, საერთო კრებებით, კულტურულ, შემეცნებით-გასართობ და გასვლით ღონისძიებებში მონაწილეობით... სკოლის ვებ-გვერდია: www.alaverdischool.org.ge, ვერ ასრულებს საინფორმაციო საკომუნიკაციო ფუნქციას, ვინაიდან ერთ წელზე მეტია არ ფუნქციონირებს. თუმცა დომენის თანხა ყოველთვიურად სკოლას გადახდილი აქვს; სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით სკოლის დომენის ჰოსტინგს ახორციელებდა „კავკასუს ონლაინი, რომელიც გადავიდა მაგთის მფლობელობაში. მას შემდეგ სკოლის ვებგვერდს შეექმნა პრობლემა, რომლიცს მოგვარებაც, სამწუხაროდ, ვიზიტის პერიოდში ვერ მოხერხდა**(დანართი N4 სკოლის ისტ. -ის ახსნა-განმარტებითი ბარათი)**
დადასტურება/დანართი	1. ინტერვიურებით; 2. **დანართით N4 სკოლის ისტის ახსნა-განმარტებითი ბარათი** 3. დომენის საფასურის გადარიცხვის სადაგადახადო დოკუმენტაციით /სახელმწიფო ხაზინის ამონაწერით;
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-3 მუხლის „ე“ პუნქტი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

აღწერა	სკოლის ადმინისტრაციის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის კონტროლის პროცესი მიმდინარეობს სამი მიმართულებით: 1. მონიტორინგი - წარმოადგენს მონაცემთა შეგროვების პროცესს, სიტუაციის მუდმივ მეთვალყურეობას, ანალიზს და შემოწმებას. 2. შეფასება – მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის ანალიზი და დასკვნების გაკეთება. 3. შემოწმება – მასწავლებელთა და მოსწავლეთა მიღწევების განხილვა. ამასთანავე, სკოლის ადმინისტრაცია სასწავლო წლის განმავლობაში აკონტროლებს სასწავლო პროცესში პედაგოგთა მუშაობას, მონიტორინგის შემდეგი მიმართულებებით: ა) მართვა - შედეგები - სასწავლო მეთოდები; ბ) პროფესიული პასუხისმგებლობა; მასწავლებლების მუშაობის შემოწმება მოხდება შემდეგი მეთოდებით: ა) პედაგოგისათვის აუცილებელი დოკუმენტების წარმოების შემოწმებით; ბ) გაკვეთილზე დასწრებით; დ) საკონტროლო კვლევებით; ე) სემესტრული და წლიური ანგარიშებით, საგნის დინამიკის მონაცემებით; შეფასება-ანალიზის შედეგად კი განისაზღვრება რეკომენდაციები და ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის პრიორიტეტები. გარდა ამისა, შემუშავებულია პედაგოგთა შეფასებისა და მონიტორინგის წესი, რომელშიც განსაზღვრულია, როგორც ღია გაკვეთილების ჩატარება, ისე პროექტების შემუშავება-წარდგენა. სკოლაში მოქმედებს სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამის მართვის გუნდი, რომელიც აკვირდება მიმდინარე პროცესებს, აფიქსირებს რისკებს და იძლევა რეკომენდაციებს. სწორედ 2017-2018 სასწავლო წლის შიდა მონიტორინგის საფუძველზე გაცემული რეკომენდაციებით ხელმძღვანელობდა სკოლა, როცა ადმინისტრაციამ მოიწვია მესამე

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი



მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

	საფეხურის მოსწავლეთა მშობელთა კრება და გააცნო მათ ის რეგულაციები, რომლებიც სკოლის საერთო კულტურის განვითარებასა თუ სწავლების ხარისხის ამაღლებას ემსახურებოდა. კერძოდ, მშობლებს განემარტათ 2018-2019 სასწავლო წლის მოთხოვნების შესახებ, რომელიც ეხებოდა, ერთი მხრივ, XII კლასის მოსწავლეთა გაკვეთილების გაცდენის ზუსტ აღრიცხვას, ექსტერნატის ფორმით სასწავლო პროგრამის დაძლევის საჭიროებებს და, მეორე მხრივ, მესამე საფეხურის მოსწავლეთა საგანმანათლებლო პროცესში გააქტიურებასა და სწავლების ხარისხის ამაღლებას. • XII კლასის მოსწავლეები რეპეტიტორებთან სიარულს სასწავლო პროცესის დროს ვერ შეძლებდნენ; • X კლასის მოსწავლეთა ნაწილმა სწავლა გააგრძელა პროფესიულ კოლეჯებში ვეტარინარიისა და კულინარიის განხრით; • მესამე საფეხურის მოსწავლეთა დისიპლინური პრობლემები და მავნე ჩვევები (თამბაქოს მოხმარებისა და სხვა სახით). როგორც ინტერვიურებით გაირკვა, სასწავლო პროცესისადმი XII კლასის მოსწავლეთა უპასუხისმგებლო დამოკიდებულება არა მარტო მესამე საფეხურის, არამედ დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეთათვისაც ქმნიდა დიდ რისკს, სწორედ ამიტომ სკოლის ადმინისტრაციამ პრინციპული დამოკიდებულება გამოხატა და გააფრთხილა მესამე საფეხურის ყველა მოსწავლე და მშობელი, რომ ახალი სასწავლო წლიდან სკოლის მოსწავლეების ჩართულობას სასწავლო პროცესში დიდი ყურადღება მიექცეოდა. ყოველივე ამან მშობელთა ნაწილის ე.წ. პროტესტი გამოიწვია და, როგორც X-XI -XII კლასის მოსწავლეები, ისე მათი დედმამიშვილები, რომლებიც ამა თუ იმ საფეხურზე სწავლობდნენ, სხვადასხვა საჯარო სკოლაში გადავიდნენ. აქედან გამომდინარე, მოსწავლეთა რაოდენობა შემცირადა თითქმის 45 პროცენტამდე, რაც დასაფიქრებელია, რადგან ინტერვიურებით გაირკვა, რომ საბაზო საფეხურის მოსწავლეთა მშობლებს შიში ჰქონდათ საშუალო საფეხუზე სწავლის გაგრძელებასთან

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

	დაკავშირებით. ვიზიტის პერიოდში სკოლაში მხოლოდ დაწყებითი და საბაზო სკოლის მოსწავლეები იეიცხებოდნენ.მათი რაოდენობა 122 იყო **(N2 დანართი სკოლის ადმინისტრაციის ახსნა-განმარტებითი ბარათი).**
დადასტურება/დანართი	1. ინტერვიურებით მშობლებთან, პედაგოგებთთან და მოსწავლეებთან; 2. **დანართით N2 სკოლის ადმინისტრაციის ახსნა-განმარტებითი ბარათი;**
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-3 მუხლის „ვ“ პუნქტი.

II. მატერიალურირესურსი

2.1 **დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:**

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:

აღწერა	ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებულ წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა მდებარეობს ქალაქ თელავში,

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

	ფალიაშვილის ქუჩა N28-ში. დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: ა.ა) ერთ მისამართზე 1106,24 კვ.მ. ფართი. ა(ა)იპ - ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას აქვს ფართის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით. აღნიშნული ამონაწერი განახლდა ექსპერტების ვიზიტის პერიოდში ა/წლის 22 მაისს. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია/დაევალა უმოკლეს ვადაში (ვიზიტის პერიოდშივე) გაენახლებინა საჯარო რეესტრში აღნიშნული დაწესებულების ამონაწერი და ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოედგინა განახლებული ამონაწერი. დაწესებულების შენობა ორსართულიანია, შენობა-ნაგებობაში განთავსებულია ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალის, საკლასო და კლასის განაყოფის ოთახები. კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, სატრაპეზო. სკოლის პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა აქტივობის გასახორციელებელი სივრცეები. დაწესებულებამ წარმოადგინა შენობის აზომვითი ნახაზი . შენობის აზომვითი ნახაზი შესრულებულია შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს (ინდ/მეწარმე ზურაბ ზუროშვილი) მიერ. სკოლის სტრუქტურით განსაზღვრულ ადამიანურ რესურსს აქვს საკუთარი სამუშაო სივრცეები: ცალკეა ადმინისტრაციის (დირექტორის, ბუღალტრის) ოთახები, სამასწავლებლო, ისტ -ს კაბინეტი, სატრაპეზო, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი . სკოლის ეზო შემოსაზღვრულია ღობით.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

	მოსწავლეების მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლის ფართობზე ხორციელდება სასწავლო პროგრამებით განსაზღვრულ სხვადასხვა აქტივობები.
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	N53.20.42.069
დადასტურება/დანართი	• ხელშეკრულებებით; • ვიზუალური დათვალიერებით; • ვებ, გვერდიდან reestri.gov.ge -დან საჯარო რეესტრის ამონაწერით; • შენობა -ნაგებობების შიდა აზომვითი ნახაზით;
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტი.

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

აღწერა	დაწესებულებას გააჩნია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მერხები - 219 ერთადგილიანი მერხი და ერთი ორადგილიანი მერხი - 15 საკლასო ოთახში, შესაბამისი რაოდენობის სკამები, რესურს ოთახში განლაგებულია პუფები; დამატებითი მერხები, ასამდე ერთეული, განთავსებულია სკოლის სათავსოებში. საკლასო ოთახები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით. ყველა საკლასო ოთახს აქვს სასკოლო დაფა ; თუმცა ნაკლებობაა კარადების, რასაც მოსწავლეები ინტერვიურებისას აღნიშნავენ, კიდეც; საკლასო ოთახებში შექმნილია მოსწვლეთა ასაკობრივი პროგრამების თემატური შინაარსის შესაბამისი გარემო. გამოფენილია საგანმანათლებლო თვალსაჩინოებები, საორგანიზაციო შინაარსის დოკუმენტები და მოსწავლეთა ნამუშევრები. კლასის მოწყობის დიზაინი იცვლება სკოლის საფეხურებისა და ასაკობრივი მახასიათებლების შესაბამისად. განსაკუთრებულად მოსწავლის ასაკობრივ საჭიროებებზე ორიენტირებულ გარემოა დაწყებით კლასებში , რომლებიც ძირითადად პირველ სართულზეა განლაგებული;
დადასტურება/დანართი	• მერხების შესყიდვის სასაქონლო ზედნადებებით; • ინტერვიურებით; • მერხებისა და სკამების შესყიდვის სასაქონლო ზედნადებებით; • ინვენტარიზაციის დოკუმენტაციით; • შიდა აზომვითი ნახაზით; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

	მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტი.

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

აღწერა	სასწავლო პროგრამის მიხედვით სპორტის სახეობებად განსაზღვრულია: ჭადრაკი, ფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი; სპორტის გაკვეთილისათვის სკოლას არა აქვს არც მოედანი და არც სპორტული დარბაზი, თუმცა სპორტული გაკვეთილებისათვის განსაზღვრული აქვს ღია სივრცე ფართით 77 კვ. მეტრი სკოლის შენობის პირველი სართულის შესასვლელში (არ აქვს კარი და ფანჯრები). სპორტის გაკვეთილებისათვის სკოლის ადმინისტრაციას დაწყებული აქვს სკოლის შესასვლელში სარეაბილიტაციო სამუშაოები - დაგებულია იატაკზე ახალი საფარი. დაწესებულების მენეჯმენტით განსაზღვრულია სპორტის გაკვეთილებისათვის სივრცის სრული მოწყობა / გარემონტება მომავალ სასწავლო წლამდე, ზაფხულის პერიოში. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სპორტის გაკვეთილებისათვის განსაზღვრულ ადგილას შვედური კედლები (2 ცალი) არ იყო დამონტაჟებული, ისინი ერთ-ერთ კუთხეში იატაკზე იყო განთავსებული.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

	სკოლას არ გააჩნია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი სპორტული ინვენტარი. აქვს მხოლოდ მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილებისათვის განსაზღვრული ინვენტარი (ჩოგბურთის მაგიდა, ბადე, ჩოგნები და ბურთები), ამასთანავე, რამდენიმე ჭადრაკის დაფა და სხვადასხვა ტიპის ბურთები. დაწყებით საფეხურზე ფიზ./აღზრდის ჩატარებისთვის სკოლას არ გააჩნია სათანადო სპორტული ინვენტარი: მაგალითად: ჰულა-ჰუპები, კეგლები, რეზინის ბურთები; სპორტული ლეიბი, ბაგირი, ჯეგირები, სპორტული ძელი და სხვა.. სკოლას სპორტის გაკვეთილებისათვის, გადა შიდა ღია სივრცისა, განსაზღვრული აქვს ეზო, სადაც ერთი კალათბურთის ფარია დადგმული და მხოლოდ თბილ ამინდებში თუ არის შესაძლებელ ფიზკულტურისა და სპორტის გაკვეთილებიდ ჩაატარება. არჩეული სპორტის ერთ-ერთი სახეობა - ფეხბურთი საგაკვეთილო სივრცეში პრაქტიკულად არ ტარდება, ვინაიდან სკოლას აღნიშნული სპორტის სახეობის ჩატარებისათვის არ გააჩნია შესაბამისი გარემო და ინვენტარი.
დადასტურება/დანართი	• სპორტული ინვენტარის შესყიდვის სასაქონლო ზედნადებებით; • სახელმწიფო ხაზინის ამონაწერით; • ვიზუალური დათვალიერებით. • ინტერვიურებით;
შეფასება	**დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

	მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტი.

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

აღწერა	სკოლის შენობაში განთავსებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია), რომლებიც შეესაბამება „ზოგადსაგანმამათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N572-ე ბრძანებას. ლაბორატორიას აქვს: ფანჯარა, ასევე სველი წერტილი (ონკანი და ნიჟარა მუდმივი წყლით), დამხმარე სათავსო - საკმაოდ დიდი მოცულობისაა, მაგრამ აღნიშნულ დაწესებულებას მიმდინარე სასწავლო წელს პრაქტიკული სამუშაოების ჩასატარებლად ქიმიური რეაქტივები საერთოდ არ შეუძენია, რაც სავარაუდოდ ეჭვს ბადებს, რომ ლაბორატორიულ ცდებსაც არ ატარებენ. მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოკითხვით დასტურდება, რომ ლაბორატორიაში იშვიათია ლაბორატორიის ცდების ჩატარების პრაქტიკა. მოსწავლეები ვერ ასახელებენ საბუნებისმეტყველო საგნებში სხვადასხვა კვლევით პროექტს ან აქტივობას. საბაზო საფეხურის მოსწავლემ მოიყვანა ერთადერთი მაგალითი ე.წ. „ლაბორატორიული ცდის“ ჩატარებისა, მაგრამ ვერც მიზანი, ვერც შედეგი და ვერც აქტივობის მსვლელობა ვერ აღწერა/დაასახელა;
დადასტურება/დანართი	• ლაბორატორიის ინვენტარის შესყიდვის სასაქონლო ზედნადებებით;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

	• ინვენტარიზაციის უწყისით; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტი.

2.2 **სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები**

აღწერა	დაწესებულებაში არსებობს ელექტრო-ენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, გაფორმებულია სათანადო ხელშეკრულება ადგილობრივ ენერგომომწოდებელთან, დაწესებულებაში არსებობს ელექტრო-ენერგიის გადახდის დამდასტურებელი დოკუმენტაცია; დაწესებულებას აქვს სულ 13 სველი წერტილი, აქედან 6 მეორე სართულზე მდებარეობს (თურქული ტიპის 3 ბიჭებისა და 3 გოგოებისთვის), დანარჩენი 7 სველი წერტილი პირველ სართულზეა, აქედან ერთი - მასწავლებლებისა და სკოლის სხვა თანამშრომლებისათვის არის განკუთვნილი, ხოლო დანარჩენი 6 მოსწავლეებისათვის (3 ბიჭებისა და 3 გოგონებისათვის); მხოლოდ გოგოების ტუალეტშია ადაპტირებული სველი წერტილი შშმ პირთათვის, რომელიც ფარდებითაა შემოფარგლული; აღსანიშნავია ისიც, რომ მოსწავლეთათვის განკუთვნილ არცერთ სველ წერტილს არა აქვს წინა კარი; ყველა სველ წერტილს მიეწოდება წყალი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

	დაწესებულებაში არსებობს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა, ყველა საკლასო ოთახს გააჩნია ფანჯარა, საიდანაც შესაძლებელია კლასის სრული განათება; სკოლას გააჩნია ცენტრალური გათბობა;
დადასტურება/დანართი	• მოხმარებული ელექტროენერგიის გადახდის დამადასტურებელ ქვითრებით; • მოხმარებული ბუნებრივი აირის გადახდის დამადასტურებელი ქვითრებიc • მოხმარებული წყლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრებით; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

აღწერა	მონიტორინგის ექსპერტთა ვიზიტისას ბიბლიოთეკა მეორე სართულზე მდებარეობდა. ბიბლიოთეკას აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა, სამკითხველო სივრცე. გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და სამუშაო საათები.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

	ბიბლიოთეკაში არის განთავსებული მხატვრული ლიტერატურა და გრიფირებული სახელმძღვანელოები. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი შემთხვევითი წესით შერჩეული წიგნებიდან და გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან არცერთი არ იყო სათანადო წესით გაფორმებული, არ იყო ბუღალტერიაშიც გადაცემული წიგნადი ფონდი, სკოლის ადმინისტრაციას ბოლო პერიოდში (სამი წლის განმავლობაში) არ ჩაუტარებია ბიბლიოთეკის ინვენტარიზაცია, არ წარმოებს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის არც ელექტრონული, არც წერილობითი ჩანაწერები. არ არის გახსნილი წიგნების რეგისტრაციის ჟურნალი. არ ხდება გატანილი და დაბრუნებული წიგნების აღრიცხვა. ნაჩუქარი წიგნებიც არ არის აღრიცხვაზე აყვანილი და აუდიტის მიერ შეფასებული. ბიბლიოთეკაში არის ლეპტოპი, მაგრამ მას ინტერნეტი არ მიეწოდება, ასევე, ბიბლიოთეკას არა აქვს პრინტერი. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით მომავალი სასწავლო წლიდან დაწესებულება გადაწყვეტილი აქვს პირველ სართულზე ახალი სამკითხველო დდარბაზისა და ბილიოთეკუს მოწყობა. (პირველადი სარემონრტო სამუშაოები ჩატარებულია)
დადასტურება/დანართი	1. წიგნადი ფონდის შესყიდვის ხელშეკრულებებით; 2. ინტერვიურებით; 3. ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება	დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

	მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

აღწერა	სკოლას აქვს პანდუსიც და ადაპტირებული სველი წერტილი, თუმცა პანდუსის დახრილობა საკმაოდ მაღალია, მისი მოაჯირი კი არამყარი, სახიფათო; ადაპტირებული სველი წერტილი მდებარეობს გოგოების სველ წერტილში და გამიჯნულია ფარდით. სკოლას ასევე აქვს მეორე სართულზე ასასვლელი ხის ადაპტირებული ასაკეცი ე.წ. „რელსები“ ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლისათვის. სკოლის პირველ სართულზე განსაზღვრული იყო სკოლამდელი აღსაზრდელებისათვის განკუთვნილი საკლასო ოთახი. თუმცა ახალი სასწავო წლიდან იგეგმება ამ ოთახის რესურსოთახად გამოყენება. ვიზუალური დათვალიერებით რესურსოთახი აღჭურვილია მრავალფეროვანი გასავითარებელი სასწავლო, სათამაშო რესურსებით, პუფებით, მხატვრული ლიტერატურით, ხელსაქმის მასალით და სხვა..
დადასტურება/დანართი	1. ვიზუალური დათვალიერებით. 2. ინტერვიურებით; 3. სახელმწიფო ხაზინის ამონაწერით;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

2.5 **სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არაუმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებ გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას**

აღწერა	დაწესებულებას სულ აქვს 12 კომპიუტერი (მათგან ოთხი ადმინისტრაციისათვის არის განკუთვნილი) და ერთი ლეპტოპი. ისტ-ს კაბინეტში ინდივიდუალურ მაგიდებზე განლაგებულია 10-ზე მეტი კომპიუტერი, მაგრამ მათგან მუშა მდგომარეობაშია მხოლოდ 8 კომპიუტერი. რვავე ჩართულია ინტერნეტში. სკოლას ასევე აქვს ერთი პროექტორი და 4 კომბინირებული პრინტერი. მოსწავლეები ღიად საუბრობენ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში არგამოყენების შესახებ. ისტ-ს მასწავლებელმაც დაადასტურა, რომ გაკვეთილები მიმდინარეობს ჩვეულებრივ კლასებში საინფორმაციო ტექნიკის გამოყენების გარეშე.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

		იკვეთება, რომ ისტ-ს გაკვეთილები მხოლოდ თეორიულ ხასიათს ატარებს, ხოლო პრაქტიკულ ცოდნას, მოსწავლეთა უდიდესი ნაწილი, სახლში დამოუკიდებლად ავლენს (პრეზენტაციის მომზადების ან ინტერნეტში ინფორმაციის მოძიების მიზნით) . მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა სკოლას განსაზღვრული აქვს 275 მოსწავლით (ვიზიტის პერიოდში სკოლაში 122 მოსწავლე იყო) 8 კომპიუტერი საკმარისი ნამდვილად, რადგან **სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის უნდა ჰქონდეს ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არაუმეტეს 20 მოსწავლეზე**
	დადასტურება/დანართი	• ლეპტოპის შესყიდვის დოკუმენტაციით; • ინტერნეტის გადახდის ქვითებით; • კომპიუტერების ვიზუალური დათვალიერებით; • ინტერნეტის მიწოდების ხელშეკრულებით; • ტექნიკის შესყიდვის სასაქონლო ზედნადებებით; • ვიზუალური დათვალიერებით; • ინტერვიურებით მასწავლებლებთან; • ინტერვიურებით მოსწავლეებთან; • ინტყერვიურებით ადმინისტრაციასთან;
	შეფასება	**დარღვეულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი

აღწერა	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა და გაწერილია სახანძრო და სხვა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია, რომელიც გამოკრულია ხელმისაწვდომ ადგილას ორივე სართულზე. სკოლაში შექმნილია სპეციალური შტაბი. დაწესებულების შენობა ნაგებობის ორივე სართულზე შესაბამის ზონებში განლაგებულია ცეცხლმაქრები (3-3), ხოლო პირველ სართულზე სკოლას აქვს , ასევე სახანძრო სტენდი; **დებულება საგანგებო რეაგირებაზე, როგორც ხანძრის, ასევე სხვა სტიქიური მოვლენების (წყალდოდობა, მეწყერი..) დროს, სკოლას შემუშავებული არა აქვს;**
დადასტურება/დანართი	• საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების/სახანძრო ევაკუაციის ინსტრუქცია; • ვიზუალური დათვალიერებით;
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა

აღწერა	შენობა-ნაგებობების ყველა (ორივე) სართულზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმა. თუმცა არ არის დამონტაჟებული საევაკუაციო გასასველის მანიშნებები.
დადასტურება/დანართი	• ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტი.

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

აღწერა	დაწესებულებას ჰყავს ექთანი, რომლის ფუნქციაც დელეგირებულია სკოლის ადმინისტრაციის წევრზე - დირექტორის მოადგილეზე, რომელიც, ამასთანავე, დროებით დირექტორის მოვალეობასაც ასრულებს. სკოლაში მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი. კაბინეტი აღჭურვილია სამედიცინო ტახტით, პირველადი დახმარების საშუალებებით.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

	სკოლას აქვს გამოცდილება პირველადი დახმარების გაწევის : საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოსწავლეებსა და ადამიანურ რესურსს გაეწიოს პირველად სამედიცინო დახმარება.
დადასტურება/დანართი	• ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულებით; • ვიზუალური დათვალიერებით;
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.გ“ ქვეპუნქტი.

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები

აღწერა	სკოლაში წესრიგის დაცვა ხდება შემუშავებული შინაგანაწესისა და სააღმზრდელო მიმართულების პროგრამების მიხედვით. სკოლას არ ჰყავს დღის დაცვა, არც შტატში დარაჯი ან შესაბამისი ადამიანური რესურსი, ვინც დღის პერიოდში სკოლაში წესრიგის დაცვაზე იზრუნებდა. მხოლოდ დასვენებების პერიოდში ფუნქციონირებს მორიგეობის სისტემა, თუმცა სკოლის მოსწავლეები და მათი მშობლები ხაზგასმით აღნიშნავენ სკოლაში არსებულ უსაფრთო ფიზიკურ გარემოზე.
დადასტურება/დანართი	• შინაგანაწესით; • ინტერვიუირებით; • სასკოლო სასწავლო გეგმით;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.დ“ ქვეპუნქტი.

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს

აღწერა	დაწესებულების გარე პერიმეტრი, ეზო და შენობა-ნაგებობები კონტროლდება 10 ვიდეოკამერით, რომლებიდანაც 2 გარეპერიმეტრის კამერაა, ხოლო 8 შიდა პერიმეტრის. დაწესებულების ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარეპერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებას.გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ორივე ვიდეო თვალი შეესაბამება მოთხოვნილ პერიმეტრებს (მინ. სამ მეგაფიქსელს) ; უნდა აღინიშნოს, რომ შენობას აქვს **ორი** შესასვლელი კარი. ორივე კართან დამონტაჟებულია **მხოლოდ ერთი (თითო-თითო)** 24-საათიანი მუშაობის რეჟიმის სამეთვალყურეო კამერა ;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

	საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №1143 2007 წლის 29 აგვისტოს ბრძანებით განსაზღვრულს მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გარე პერიმეტრზე უნდა დამონტაჟდეს არანაკლებ 2 ვიდეომეთვალყურეობის სისტემა (იმ ადგილებზე, სადაც ეს შეუძლებელია – ერთი ვიდეომეთვალყურეობის სისტემა), ხოლო სათადარიგო გასასვლელების არსებობის შემთხვევაში, 1 ვიდეომეთვალყურეობის სისტემა თითო გასასვლელზე. **აქედან გამომდინარე, დასამატებელია სკოლის გარე პერიმეტრზე თითო-თითო (სულ ჯამში ორი) ვიდეოკამერა;**
დადასტურება/დანართი	• ვიდეოსამეთვალყურეო ტექნიკის შესყიდვის სასაქონლო ზედანდებებით; • ვიდეო თვალის ტექნიკური პასპორტები; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება	**დარღვეული** შეესაბამება „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.ე“ ქვეპუნქტი.

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

აღწერა	დაწესებულების ეფექტიანი მართვისათვის შემუშავებულია შემდეგი დოკუმენტები: 1. ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდება;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

	2. ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შინაგანაწესი; 3. ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სახანძრო და სხვა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია; 4. ინკლუზიური განათლების კონცეფცია; ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას <u>არა აქვს შემუშავებული:</u> 1. საქმისწარმოების წესი; 2. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების, სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის და მშობლეთან ურთიერთობის წესი არ არის ცალკე დოკუმენტის სახით, თუმცა მშობლების ინფორმირების საკითხის ძირითადი ნაწილი დარეგულირებულია დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობებში -სკოლის სასწავლო გეგმაშიც და სკოლის შინაგანაწესშიც. ✓ სკოლის წესდება შედგება შემდეგი შინაარსისაგან: საქმიანობის მიზანი და საგანი; დამფუძნებელი პირები; უმაღლესი ორგანო, სკოლის დაარსების მიზანი და ამოცანები; ლიკვიდაცია და გარდაქმნა. ✓ შინაგანაწესი შედგება შემდეგი შინაარსისგან: • სასწავლო -აღმზრდელობითი პროცესი; • სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის წესი; • სასწავლო კვირა, არდადეგები და უქმე დღეები; • სკოლის ადმინისტრაცია; • სკოლის პედაგოგთა საერთო კრება;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

	• სკოლის პედაგოგიური საბჭო; • სასწავლო -აღმზრდელობითი პროცესის შიდაკონტროლის წესი და განხორციელების ფორმები; • კათედრები; • დირექტორი; • დირექტორის მოადგილე; • სასწავლო პროცესის კოორდინატორი; • კლასის დამრიგებლები; • და სხვა საშტატო ერთეულით გათვალისწინებულ დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობები. სკოლის შინაგანაწესი არასრულია, აკლია ისეთი აუცილებელი/რეკომენდირებული სამართლებრივი საკითხები/მუხლები, როგორიცაა: მაგალითად, ანგარიშვალდებულება, გამოცხადება სკოლაში, წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა.. სახანძრო და სხვა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია შედგება შემდეგი შინაარსისგან - სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქციისა და წესებისგან; დაწესებულების ინკლუზიური განათლების კონცეფცია წარმოადგენს ამონარიდს ეროვნული სასწავლო გეგმის შესავალი ნაწილის - „ინკლუზიური განათლების“ თავიდან ;
დადასტურება/დანართი	• წესდების დოკუმენტით;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

	• ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 2018 წლის 31 აგვისტოს # 2-19 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესით; • სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქციით; • ინკლუზიური განათლების კონცეფციით; • ინტერვიურებით;
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

2.8 **შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს**

აღწერა	დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. ერთწლიანი გეგმა გამომდინარეობს გრძელვადიანი გეგმიდან. ექსპერტების ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილ ორივე გეგმას აკლდა - დაგაგემილი ღონისძიებების, პრიორიტეტული საკითხების განხორციელების პერიოდები და განმახორციელებელ პირთა ჩამონათვალი/დელეგირება, რაც შენიშვნის შემდგომ ვიზიტის პერიოდშივე ჩასწორდა.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

დადასტურება/დანართი	• დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების (ექვსწლიანი) გეგმით; • ერთწლიანი სამოქმედო გეგმით. • მიმდინარე წლის სასკოლო სასწავლო გეგმით;
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი.

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

აღწერა	ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას - არა აქვს შემუშავებული საქმისწარმოების წესი. მაგრამ სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა: ✓ სკოლას აქვს ზონარგაყრილი და დალუქული საკადრო ბრძანებების ჟურნალი; ✓ სკოლას აქვს ზონარგაყრილი და დალუქული საერთო ბრძანებების ჟურნალი; ✓ სკოლას აქვს ზონარგაყრილი და დალუქული შემოსული განცხადებების აღრიცხვის ჟურნალი; ✓ სკოლას აქვს ზონარგაყრილი და დალუქული გასული განცხადებების აღრიცხვის ჟურნალი;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

	დაწესებულებაში მიმდინარეობს აქტებისა და კორესპონდენციების წარმოება-აღრიცხვა. ბრძანებები ტარდება საერთო ნომრით.
დადასტურება/დანართი	• გამოცემული აქტებით; • გასული და შემოსული კორესპონდენციებით; • რეგისტრაციის ჟურნალებით 2018 და 2019 წლების; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.

III. ადამიანურირესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

აღწერა	მართვის საინფორმაციო სისტემის e-school - ის მიხედვით სკოლაში ირიცხება 122 მოსწავლე. სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად სკოლაში არის საჭირო შესაბამისი რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე რესურსი, კერძოდ, სკოლაში დასაქმებულთა რიცხვი შეადგენს 39 თანამშრომელს, რომელთა შორის არიან **31 პედაგოგი**, **2**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

	ადმინისტრატორი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე (ამავდროულად არის პედაგოგი), სასწავლო პროცესის კოორდინატორი (ამავდროულად არის პედაგოგი), საქმისმწარმოებელი, სამეურნეო ნაწილის გამგე, ინფომენეჯერი, ბიბლიოთეკარი (შეთავსებით, მოხალისედ პედაგოგზე) და ბიბლიოთეკარი; **ტექნიკური პერსონალი:** მომმარაგაბელი, ტრაპეზარი, სამი დამლაგებელი,
დადასტურება/დანართი	• საშტატო განრიგით; • მასწავლებელთა ბაზის ამონაწერით; • მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის ცხრილით; • ხელშეკრულებებით; • ბრძანებებით; • მასწავლებელთა და სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ „ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის № 99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

აღწერა	პედაგოგთა პირადი საქმეების დათვალიერებით, მასწავლებლებს უდასტურდებათ კვალიფიკაცია იმ საგანში, რომელსაც ასწავლიან. სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

	არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლაში დასაქმებულ 31 პედაგოგთა შორის, 13 უფროსი, 18 პრაქტიკოსია. საშტატოს დანართში ერთი პედაგოგი უსტატუსოა, თუმცა საინფორმაციო მართვის სისტემის ყველა მოქმედ მასწავლებელს აქვს მითითებული შესაბამისი სტატუსი.
დადასტურება/დანართი	• მასწავლებელთა ბაზის ამონაწერით; • ხელშეკრულებებით; • მასწავლებელთა პირადი საქმეებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** შეესაბამება „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ „ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის № 99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

აღწერა	ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

	სასწავლო გეგმაში არის ცალკე თავად „მასწავლებელთა შერჩევის კონკურსის კონცეფცია“, ასევე დაწესებულების შენაგანაწესშიც არის განსაზღვრული მასწავლებელთა შერჩევისას, მიღების აუცილებელი კრიტერიუმები, რომლებიც განსახვავებულია სკოლის სასწავლო გეგმის მოთხოვნებისგან: მაგალითად, თუ სასკოლო სასწავლო გეგმაში აუცილებელია მასწავლებელმა იცოდეს „კომპიუტერული პროგრამების ცოდნა“, სკოლის მოქმედ შინაგანაწესის მიხედვით, მასწავლებელს მოეთხვება უცხო ენის სრულყოფილი ცოდნა. ამ ორი აუცილებელი მოთხოვნის დამადასტურებელი დოკუმენტები არ მოიპოვება სკოლის მასწავლებელთა პირად საქმეებში. **ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის პერიოდში , ექსპერტების შენიშვნის შემდგომ, შეიქმნა თანამშრომელთა პირადი განცხადებები -სამსახურში მიღების თაობაზე (ძველი თარიღით);** დაწესებულებაში არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა;
დადასტურება/დანართი	• სკოლის შინაგანაწესით; • სასკოლო სასწავლო გეგმით; • ინტერვიურებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** შეესაბამება „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ„ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის № 99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

აღწერა	ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ანალიზისას აღმოჩნდა, რომ ხელშეკრულებები არცერთი არ იყო დანომრილი. ეს ხარვეზი ექსპერტების ვიზიტის პერიოდშივე აღმოიფხვრა.
დადასტურება/დანართი	• ხელშეკრულებებით; • ინტერვიურებით;
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „აგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის № 99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

აღწერა	ინტერვიურების შედეგად დადგინდა, რომ ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ჩართულია მასწავლებელის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

	კარიერული წინსვლის სქემაში. შესაბამისად, აღნიშნული სისტემა არეგულირებს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას. სკოლას არ აქვს მასწავლებელის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დებულება. ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა სასწავლო პროცესს პრაქტიკულად მხოლოდ ორ საფეხურზე : დაწყებით და საბაზო საფეხურზე ახორციელებს. სკოლას ჰყავს სასწავლო პროცესის კოორდინატორი, რომელიც პასუხისმგებელია სასწავლო პროცესზე. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს შვიდი კათედრა: - ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა; - მათემატიკისა და ისტ-ის კათედრა; - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა; - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა; - უცხოური ენების კათედრა; - ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა; - დაწყებითი საფეხურის კათედრა; კათედრების ჩანაწერების ანალიზისას აღმოჩნდა, რომ მათ გაწერილი აქვთ წლის განმავლობაში სასწავლო პროცესზე დაკვირვების სხვადასხვა აქტივობა, მათ შორის მასწავლებელთა ურთიერთდასწრება. ამ აქტივობათა შორის არის გაკვეთილზე დაკვირვება და მონიტორინგი. გაკვეთლზე დაკვირვების პროცესი მოიცავს გაკვეთილზე დაკვირვებას (წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით გაკვეთილის პროცესისა და მასწავლებელის შეფასებას); ძლიერი და სუსტი მხარის გამოვლენას,

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

	დასკვნას და რეკომენდაციებს. შესაბამისად დაკვირვების, შედეგად იკვეთება მასწავლებლის საჭიროებები რეკომენდაციის სახით.
დადასტურება/დანართი	• სასკოლო სასწავლო გეგმით; • სკოლის კათედრების ოქმებით; • ინტერვიურებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის № 99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი.

3.6 **სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას**

აღწერა	სკოლაში არის ურთიერთპატივისცემისა და კეთილგანწყობილი გარემო. მშობლებთან ინტერვიურებისას აღმოჩნდა, რომ სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარე უსაფრთხო და თანამშრომლობითი გარემოა.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

	ასევე, მოსწავლეები ხაზს უსვამენ სკოლის მიერ მოსწავლეთა მიმართ ტოლერანტულ დამოკიდებულებას: ყველა მოსწავლის პიროვნული ღირსების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათი ძლიერი მხარეების აღიარებას. მოსწავლეებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებლების თბილი და თანამშრომლობითი დამოკიდებულება.
დადასტურება/დანართი	• ვიზუალური დათვალიერებით; • ინტერვიურებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ '' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის № 99/ნ მე-5 მუხლის პორველი პუნქტის „ბ '' ქვეპუნქტი.

IV. საგანმანათლებლო სფეროში მოქმედი სამართლებრივი აქტების შესრულება

4.1 მოსწავლეთა აღრიცხვის ჟურნალები

აღწერა	შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სკოლაში არსებული მოსწავლეთა აღრიცხვის ჟურნალები, რა დროსაც დადგინდა შემდეგი: ✓ სკოლა მოსწვალეების აღრიცხვისა და შეფასებისათვის იყენებს „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა გაკვეთილზე

	დასწრების აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს N114/ნ ბრძანების შესაბამის ჟურნალებს. ✓ ერთ-ერთ ჟურნალში (მე-9 კლასის) შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა არ იყო შესაბამისი, ასევე იმავე კლასში მეორე სემესტრში შემაჯამებელი დავალებები ერთ-ერთ საგანში (მუსიკა) არ ჩატარებულა;
დადასტურება/დანართი	• მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალებით; • ინტერვიურებით;
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა გაკვეთილზედასწრების აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს N114/ნ ბრძანება.

სულ დანართი	• **დანართი N1,** სასკოლო სასწავლო გეგმა და ბრძანება N2-11 სკოლის დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანის შესახებ (70 ფურცლად); • **დანართი N2,** სკოლის ადმინისტრაციის ახსნა-განმარტებითი ბარათი (ორ ფურცლად);

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

	• **დანართი N3** ბრძანება N2-12 სასკოლო დოკუმენტაციის ანალიზისა და განაახლების კომისიის შექმნის შესაებ (ერთ ფურცლად) • **დანართი N4** სკოლის ისტის ახსნა-განმარტებითი ბარათი(ერთ ფურცლად)

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი
ექსპერტი